ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №27

30 ივნისი 2023 წელი

11:30 საათი

ა/წ 30 ივნისს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე;
2. ლევან აბაშიძე;
3. ნათია მოდებაძე;
4. ლილე ლიპარტელიანი;
5. მამუკა გუგეშაშვილი;
6. ვახტანგ სურგულაძე;

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ანა ჩაგარიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის № 19-118

დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი და სიტყვა გადასცა პირველი საკითხის წარმომდგენს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელს ანა ჩაგარიძეს:

1. პროექტის მიხედვით ცვლილება შედის ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილების პირველი მუხლის „დ" ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის" (დანართი N4) (შემდგომში - წესი) მე-4 მუხლში.

წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულია ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსების ოდენობები დადგენილი ტარიფის ფარგლებში, კერძოდ, წესის მოქმედი რედაქციის მიხედვით ღვიძლის ტრანსპლატაციის საჭიროების მქონე პირებისათვის, ღვიძლის ტრანსპლანტაცია ფინანსდება მატერიალიზებული ვაუჩერის/თანხმობის წერილის მეშვეობით, დადგენილი ტარიფის ფარგლებში, არაუმეტეს 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით (პაციენტის თანაგადახდა შეადგენს არაუმეტეს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს), ფაქტობრივი ხარჯის გათვალისწინებით. წარმოდგენილი პროექტით კი ღვიძლის ტრანსპლატაციის საჭიროების მქონე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისათვის ღვიძლის ტრანსპლანტაცია დაფინანსდება სრულად, დადგენილი ტარიფის ფარგლებში და პაციენტს აღარ მოუწევს თანაგადახდა. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია 70 000 ლარის ნაცვლად დააფინანსებს 120 000 ლარის ფარგლებში სრულად.

თავდაპირველი პროექტით განსაზღვრული იყო საჭიროების მქონე 8 პირის თანადაფინანსება. ამ ეტაპისათვის ბენეფიციართა ნაწილი დაფინანსებულია 70 000 ლარით, იგეგმება დარჩენილი ბენეფიციარების დაფინანსება 120 000 ლარით. ამასთან, ვინაიდან აღარ იქნება თანაგადახდის საჭიროება, მოსალოდნელია ბენეფიციართა რაოდენობის ზრდაც, რაც იწვევს ბიუჯეტის გაზრდას 990 000 ლარით.

პროექტის მიხედვით, დადგენილების ამოქმედების თარიღად გათვალისწინებულია 2023 წლის 1 ივლისი.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ლილე ლიპარტელიანმა.

ხოლო, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დადგენილების პროექტს.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 საკითხი, კერძოდ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს გადასახდელების ნაწილში არსებული რესურსების გადანაწილების ხარჯზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა დარჩება უცვლელი და შეადგენს 1 803 072,3 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახურის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 4 900,0 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 2 500,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნებები - 750,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 2 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) – 641,8 ათასი ლარით, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) - 1 000,0 ათასი ლარით, **ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) - 990,0 ათასი ლარით,** მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) - 350,0 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) - 100,0 ათასი ლარით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) პროგრამის ასიგნება – 8 140,6 ათასი ლარით. მცირდება გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში (კოდი 01 01 16) ქვეპროგრამის ასიგნებები – 500,0 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 7 939,5 ათასი ლარით, საპროექტო–საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) - 650,0 ათასი ლარით, ავარიული სახლების ჩანაცვლება (კოდი 02 12) პროგრამის ასიგნებები - 10 800,0 ათასი ლარით, სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 100,0 ათასი ლარით, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 48) - 1 382,9 ათასი ლარით.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 665 278,1 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 137 794,2 ათასი ლარით.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა ლილე ლიპარტელიანმა და მამუკა გუგეშაშვილმა.
ხოლო, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დადგენილების პროექტს.

კომისიამ დაადგინა

პროექტები წარმოდგენილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებთან ერთად ხელმეორედ დასვა საკითხი კოქსართროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსებასთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც გადაწყვეტილება რეკომენდაციის სახით იქნა მიღებული 2022 წლის 17 ნოემბრის კომისიის სხდომაზე. კომისიის ფარგლებში მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსს კიდევ ერთხელ შეახსენეს ამ რეკომენდაციის გათვალისწინებასთან დაკავშირებით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე